



დანართი №5

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ მალხაზ შავაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნესტან სიხარულიძე

წევრები:

ლევან ღურუკაია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნანა ვარდმანიძე- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მედიკო ჯიქია-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნელი ტეტუნაშვილი- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ლეილა ხელისუფალი- ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა მარკოზაშვილი- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ირინე ჯანაშია- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

თეონა აბრამიშვილი- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ქეთევანი ბორაშვილი- სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნინო ჭიჭინაზე- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ მალხაზ შავაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248058220

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სოფელი
ფაქტობრივი მისამართი	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი რიყეთი
საფოსტო ინდექსი	2400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	riyetissajarskola@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577-27-02-56 591-71-81-43

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	17/09/2024 MES 9 24 0001140859
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	03.10.2024 და 04.10.2024

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ



„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი რიყეთი-შენობა-ნაგებობა-1 შუასოფლის დაწყებითი სკოლა -შენობა-ნაგებობა-1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი რიყეთი-შენობა-ნაგებობა-1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი რიყეთი-შენობა-ნაგებობა-1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ- მალხაზ შავაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთის საჯარო სკოლაში 2024 წლის 3-4 ოქტომბერს ვიმყოფებოდი. შეფასების პროცესი სამუშაო რეჟიმში წარიმართა. ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუების პროცესი, როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ისე- საგნობრივი კათედრების წევრებთან. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი კათედრების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს სასწავლო გარემო, ადგილზე გაეცნენ სკოლაში არსებულ დოკუმენტაციას. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ვიზიტის ორივე დღეს ჩაერთო საგნობრივი ექსპერტების შეხვედრებში, გამართა დიალოგი სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან კურიკულუმების შემუშავების, განხორციელების, გადამუშავების პროცესის შესახებ, კომპლექსური დავალებებისა და მოსწავლეთა შეფასებების პროცესის შესახებ; გასცა რეკომენდაციები დიფერენცირების, სხვადასხვა შესაძლებლობებისა და მზაობის მოსწავლეებთან მუშაობის შესახებ. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან, თანამშრომლურ გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



სკოლას აქვს კარგი გამოცდილება სპორტულ აქტივობებში. მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია სათხილამურო სპორტულ აქტივობებში. ჰყავთ საქართველოს ჩემპიონი სათხილამურო სპორტში, სწრაფ დაშვებაში. სკოლა ატარებს გუნდურ შეჯიბრებას მხიარულ სტარტებში .



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	---

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური-მეტწილ შესაბამისი

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური-მეტწილ შესაბამისი

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური-მეტწილ შესაბამისი

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	რეკომენდაცია: სკოლამ დადგენილ ვადებში (26.11 2026წ.) უზრუნველყოს შენობის მდგრადობის დასკვნის დოკუმენტის მოპოვება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება



ინდიკატორი N3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (11. 2026) უზრუნველყოს შუასოფლის სკოლის მშენებლობა.
		სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს ვებ გვერდის წარმოება.
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (26.08 2026) უზრუნველყოს პანდუსის მოწყობა. მიეცა რეკომენდაცია, გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს შუასოფლის სკოლის (11.2026 წ.) მშენებლობა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: კურიკულუმში გაწერილი თემების სიღრმისეულად შესწავლა გულისხმობს მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას, რისთვისაც სკოლამ არსებული



	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გაწერილი ვადების დაცვით მოიყვანოს სტანდარტთან შესაბამისობაში.
ინდიკატორი N 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების დაცვით (18. 11. 2024 წ.) უზრუნველყოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიება კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: არსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გაწერილი ვადების დაცვით (18.11.2025წ.)მოიყვანოს სტანდარტთან შესაბამისობაში .
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია: არსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გაწერილი ვადების დაცვით (18.11.2025წ.)მოიყვანოს სტანდარტთან შესაბამისობაში

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N.1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	რჩევა: სკოლამ მისიაში ასახოს სკოლის ინდივიდუალურობა, ხედვა და ღირებულებები კი უფრო მკაფიო გახადოს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	რჩევა: სკოლამ შექმნას გრაფიკულად გამოსახული სკოლის სტრუქტურა
ინდიკატორი N3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	რჩევა: სკოლამ უკვე შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს.
3.1.2..2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და	რჩევა: სკოლის დირექტორმა შეიმუშაოს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს.



	ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	
ინდიკატორი N3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	რჩევა: სკოლამ პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის დოკუმენტზე მიუთითოს დოკუმენტის შექმნის თარიღი და ნომერი.
ინდიკატორი N3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	სკოლას მიეცა რჩევა: შექმნას დოკუმენტი, რათა თანმიმდევრულად განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლოზობა, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს გეგმაზომიერ საქმიანობას: „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“, რაც საბოლოოდ განაპირობებს ხარისხის განვითარებას.
ინდიკატორი N3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლას მიეცა რჩევა: ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს უკვე გადამზადებული კადრი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად.



ინდიკატორი N3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	რჩევა: გააუქმოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომლითაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭოს მიერ უკვე დამტკიცებულ დისციპლინურ კომიტეტს. სკოლამ შექმნას გასაჩივრების მექანიზმი და დაამტკიცოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი	სკოლას მიეცა რჩევა: • ხელშეკრულება გააფორმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.



	მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.4.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;	სკოლას მიეცა რჩევა: ცალკე დოკუმენტად გაწეროს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი.
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა: გააფორმოს ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან.
ინდიკატორი N3.4.1.7.	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;	რჩევა: სკოლამ აწარმოოს ბრძანების წიგნი და უზრუნველყოს ბრძანებების მატერიალური სახით შენახვა.
ინდიკატორი N3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა პორტაბელური კომპიუტერებით.
ინდიკატორი N3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;	რჩევა: ბიბლიოთეკას მეტი დატვირთვა მიეცეს, როგორც სოციალ-კულტურულ სივრცეს.



		• ბიბლიოთეკარი უფრო აქტიურად ჩაერთოს საკლასო და სასკოლო პროექტებში. • სკოლამ იზრუნოს წიგნადი ფონდის სრულად აღრიცხვაზე.
<i>ინდიკატორი N3.</i>		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
<i>ინდიკატორი 4.2.3.2.</i>	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.	სკოლას მიეცა რჩევა: წინასწარ დაიჭიროს თადარიგი სასკოლო საზოგადოების მზაობისათვის, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის მხარდაჭერა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	რჩევა
<i>ინდიკატორი N 2.1.2.2.</i>	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სახელმწიფო ენა: სკოლამ აქტივობები, მათი განხორციელების თანმიმდევრობა მეტი სიზუსტით და მოწესრიგებული ფორმით გაჩეროს, რომ უკეთ წარმოჩნდეს საგანმანათლებლო პრინციპები.
<i>2.2.1.1.</i>	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	უცხო ენა: მასწავლებლებმა გააგრძელონ კურიკულუმების გამდიდრებაზე მუშაობა თემატურად შესაბამისი შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა-განხორციელების კუთხით - ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით; მისცენ მოსწავლეებს მათზე მორგებული ალტერნატიული შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის საშუალება; სასწავლო პროცესი რომ მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს, სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს



		მოსწავლეების საჭიროებებზე, ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული არაფორმალური განათლების ხელშემწყობი მრავალფეროვანი და შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებები, პროექტები; ასევე კარგი იქნება ინტეგრირება სხვა საგნებთან, თანამშრომლობა სკოლებთან და ა.შ. სასურველია თუ გაგრძელდება სასკოლო ცხოვრებაში მშობლების, სასკოლო საზოგადოების, თემის წარმომადგენლების ჩართვაზე მუშაობა, ასე მაგალითად, კარგი იქნება თუ საგნის მასწავლებლები მიიწვევენ მათ სამომავლოდ დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებისას, მოსწავლეების შემოქმედებითი პროდუქტების წარდგენისას და სხვა.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურზე (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) ხშირ შემთხვევაში არ მოიცავს კონტექსტმაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას და მაგალითებს შედარებისთვის. რჩევის სახით ვუთითებთ საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრებს, რომ ყველა თემის ფარგლებში აუცილებელია კურიკულუმებს დაემატოს აღნიშნული კომპონენტები. პროექტული სწავლების დროს დიფერენცირების გათვალისწინებით მოსწავლეს მივცეთ არჩევანის საშუალება, რომ დავალება წარმოადგინოს მისთვის სასურველი აქტივობით, მაგალითად დავალება შეასრულოს პლაკატის მომზადებით ან ბუკლეტის, პრეზენტაციის კედლის გაზეთის, ნახატის სახით.
ინდიკატორი N 2.1.2.4.	სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია	ფიზიკური აღზრდა: წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლეს და



		გამოაკრათ თვალსწინა ადგილას. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე, მოსწავლეს წინასწარ ეცოდენება რა მოეთხოვება სასურველი მიზნის მისაღწევად.
--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	რჩევა
--------------	--	-------

ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სახელმწიფო ენა: სკოლამ აქტივობები, მათი განხორციელების თანმიმდევრობა მეტი სიზუსტით და მოწესრიგებული ფორმით გაწეროს, რომ უკეთ წარმოჩნდეს საგანმანათლებლო პრინციპები.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	უცხო ენა: მასწავლებლებმა გააგრძელონ კურიკულუმების გამდიდრებაზე მუშაობა თემატურად შესაბამისი შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა-განხორციელების კუთხით - ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით; მისცენ მოსწავლეებს მათზე მორგებული ალტერნატიული შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის საშუალება; სასწავლო პროცესი რომ მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს, სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეების საჭიროებებზე, ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული არაფორმალური განათლების ხელშეწყობი მრავალფეროვანი და შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებები, პროექტები; ასევე კარგი იქნება ინტეგრირება სხვა საგნებთან, თანამშრომლობა სკოლებთან და ა.შ. სასურველია თუ გაგრძელდება სასკოლო ცხოვრებაში მშობლების, სასკოლო საზოგადოების, თემის წარმომადგენლების ჩართვაზე მუშაობა, ასე მაგალითად, კარგი იქნება თუ საგნის მასწავლებლები



		მიიწვევენ მათ სამომავლოდ დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებისას, მოსწავლეების შემოქმედებითი პროდუქტების წარდგენისას და სხვა.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურზე (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) ხშირ შემთხვევაში არ მოიცავს კონტექსტმაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას და მაგალითებს შედარებისთვის. რჩევის სახით ვუთითებთ საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრებს, რომ ყველა თემის ფარგლებში აუცილებელია კურიკულუმებს დაემატოს აღნიშნული კომპონენტები. პროექტული სწავლების დროს დიფერენცირების გათვალისწინებით მოსწავლეს მივცეთ არჩევანის საშუალება, რომ დავალება წარმოადგინოს მისთვის სასურველი აქტივობით, მაგალითად დავალება შეასრულოს პლაკატის მომზადებით ან ბუკლეტის, პრეზენტაციის კედლის გაზეთის, ნახატის სახით.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	ფიზიკური აღზრდა: წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააგნოთ მოსწავლეგამოაკრათ თვალსჩინო ადგილას. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე, მოსწავლეს წინასწარ ეცოდენება რა მოეთხოვება სასურველი მიზნის მისაღწევად.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	
--------------	--	--



ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სახელმწიფო ენა: სკოლამ აქტივობები, მათი განხორციელების თანმიმდევრობა მეტი სიზუსტით და მოწესრიგებული ფორმით გაწეროს, რომ უკეთ წარმოაჩინდეს საგანმანათლებლო პრინციპები.
ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	უცხო ენა:მასწავლებლებმა გააგრძელონ კურიკულუმების გამდიდრებაზე მუშაობა თემატურად შესაბამისი შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვა-განხორციელების კუთხით - ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით; მისცენ მოსწავლეებს მათზე მორგებული ალტერნატიული შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის საშუალება; სასწავლო პროცესი რომ მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს, სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეების საჭიროებებზე, ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული არაფორმალური განათლების ხელშეწყობი მრავალფეროვანი და შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებები, პროექტები; ასევე კარგი იქნება ინტეგრირება სხვა საგნებთან, თანამშრომლობა სკოლებთან და ა.შ. სასურველია თუ გაგრძელდება სასკოლო ცხოვრებაში მშობლების, სასკოლო საზოგადოების, თემის წარმომადგენლების ჩართვაზე მუშაობა, ასე მაგალითად, კარგი იქნება თუ საგნის მასწავლებლები მიიწვევენ მათ სამომავლოდ დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებისას, მოსწავლეების შემოქმედებითი პროდუქტების წარდგენისას და სხვა.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი



		კურიკულუმები საბაზო საფეხურზე (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) ხშირ შემთხვევაში არ მოიცავს კონტექსტმაგალითებს, კომპლექსური დავალების იდეას და მაგალითებს შედარებისთვის. რჩევის სახით ვუთითებთ საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრებს, რომ ყველა თემის ფარგლებში აუცილებელია კურიკულუმებს დაემატოს აღნიშნული კომპონენტები. პროექტული სწავლების დროს დიფერენცირების გათვალისწინებით მოსწავლეს მივცეთ არჩევანის საშუალება, რომ დავალება წარმოადგინოს მისთვის სასურველი აქტივობით, მაგალითად დავალება შეასრულოს პლაკატის მომზადებით ან ბუკლეტის, პრეზენტაციის კედლის გაზეთის, ნახატის სახით.
ინდიკატორი NN2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	ფიზიკური აღზრდა: წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლეს გამოაკრათ თვალსჩინო ადგილას. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე, მოსწავლეს წინასწარ ეცოდენება რა მოეთხოვება სასურველი მიზნის მისაღწევად.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
 1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
 2. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
 4. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. ხედვა და ღირებულებები ბუნდოვანია.

რჩევა: მისიაში ასახოს სკოლის ინდივიდუალურობა, ხედვა და ღირებულებები კი უფრო მკაფიო გახადოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.

სკოლას მისიითა და ხედვით უჭირს საკუთარი როლის, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურული სივრცის განსაზღვრა; სკოლაში არ ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო; სკოლაში შესვენებების დროს დაწესებულია მორიგეობა, სკოლის მასწავლებლებისა და დამრიგებლების მხრიდან ხდება სკოლაში უსაფრთხოების დაცვა. სკოლას არ ჰყავს დისციპლინური კომიტეტი სკოლაში არ ყოფილა დისციპლინური საქმისწარმოება. ხდება წარმატებული მოსწავლეების წახალისება სიგელებით. , მოსწავლეები ენთუზიაზმით მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო თუ სკოლისგარეშე სპორტულ აქტივობაში, სასკოლო თუ უფრო ფართო სპექტრის პროექტებში. მათი აქტიურობით სკოლას გადაეცა საჩუქრად ტექნიკა: კომპიუტერი, პროექტორი. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ნიჭისა და უნარების გამოვლენას, იმართება

მოსწავლეთა შემოქმედების გამოფენა, საჩვენებელი ღონისძიებები, რომლებსაც ესწრებიან მშობლები. ისინი არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და აქვთ ინფორმაცია თავიანთი შვილების წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს. სკოლაში მოქმედებს კლუბები: კლუბი „კრეატორები“, კლუბი „პითაგორა“, „სამოქალაქო ს“ კლუბი. რომელიც 2024 წლის იანვრიდან ახორციელებს სხვადასხვა საკლუბო აქტივობას, აგრეთვე, 2023 წლიდან სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები სხვადასხვა პრიორიტეტულ თემაზე, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მისიისა და ხედვის შექმნაში არ ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის შემუშავების დროს გამოყენებული ინსტრუმენტები: კითხვარები, კითხვარების ბმულები; სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული წინადადებები; სკოლას არ ჰყავს ბრძანებით შექმნილი ჯგუფი, რომელიც ერთობლივად, სასკოლო საზოგადოების სრული წარმომადგენლობით იმუშავებდა სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბებაზე, სტრატეგიული განვითარების გეგმაზე.

ვიზიტის შემდეგ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა მისიის, ხედვისა და ღირებულების შექმნაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები: ბრძანება, სხდომების ოქმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ;

ვიზიტის შემდეგ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულების სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების დამადასტურებელი სხდომების ოქმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ მისია და ხედვა, რომელიც სკოლამ წარმოგვიდგინა, არ არის გასაჯაროებული, არ არის გამოკრული ხელმისაწვდომად, არც სოციალურ გვერდზეა ატვირთული, ვებ გვერდიც ნაწარმოები არ არის.

ვიზიტის შემდეგ, სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა მისიის, ხედვისა და ღირებულების გასაჯაროების დამადასტურებელი ფოტომასალა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
3. სტრატეგიული განვითარების გეგმა
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
5. დარაჯთან დადებული შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას.
1. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
2. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული არის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, თუმცა მისი შინაარსი ბუნდოვანია და არ ეფუძნება სკოლის მისიას, (ფილოსოფიას). ის არ შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
ვიზიტის შემდეგ, სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა განახლებული 7-წლიანი სტრატეგიული გეგმის განვითარების გეგმა. ის არის მეტად ნათელი და შეესატყვისება სკოლის მისიას.
რჩევა: სკოლამ უფრო მკაფიოდ გაწეროს, დროის რა მონაკვეთში რომელი ამოცანის გადაჭრას გეგმავს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ . სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის არ ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
ვიზიტის შემდეგ, სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა განახლებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის სკოლის 7-წლიან სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.
რჩევა: სკოლამ უფრო მკაფიოდ გაწეროს, სამოქმედო გეგმით დასახული მიზნები და პასუხისმგებელი პირები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **ხარვეზი**

ვიზიტის შემდეგ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა განახლებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ჩანს სტრატეგიული განვითარების გეგმაში დასახული მიზნების განსახორციელებელი შესაბამისი აქტივობები, გაწერილია ვადები, პასუხისმგებელი პირები.

რჩევა: სკოლამ უფრო დაამსხვილოს განსახორციელებელი აქტივობები, მეტად გამოკვეთოს პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა
3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. 2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. მეთოდოლოგია დამტკიცებულია ბრძანებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, სამომავლოდ განხორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გამოქვეყნება გათვალისწინებულია სამომავლოდ საჯაროდ და ყველასთვის ხელმისაწვდომად (მაგ: პრეზენტაციის სახით წარდგენა სასკოლო საზოგადოებისთვის, სტენდზე და ვებ გვერდზე განთავსება სამომავლოდ).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის და შვიდწლიანი გეგმის შემუშავების, ანალიზისა და შეფასების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
2. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.

3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას არ ჰქონდა სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. სკოლას შემუშავებული არა აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა (თანამდებობრივი ინსტრუქციები), რომელიც მოიცავს ისეთ

მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: სამუშაოს იდენტიფიცირება და მოკლე აღწერა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები, სამუშაო პირობები.

სკოლაში ფუნქციონირებს: სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება სამი პედაგოგისგან, სამი მშობლისა (დარჩენილია ერთი) და ერთი თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან.

პედაგოგიური საბჭო, რომელიც მოიცავს 7 საგნობრივ კათედრას: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, დაწყებითის, ესთეტიკური აღზრდის და სპორტის.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ბუღალტრისგან.

სკოლის ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, ექთანი, ბიბლიოთეკარი, 3 დამლაგებელი, ცეცხლფარეში, 2 დარაჯი.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი.

სკოლას არა ჰყავს მრჩეველთა საბჭო , დისციპლინური კომიტეტი.

ხარვეზი : სკოლამ ზოგადი განათლების შესახებ კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შექმნას დისციპლინური კომიტეტი.

ხარვეზი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე შექმნას მრჩეველთა საბჭო

რჩევა:სკოლამ შექმნას გრაფიკულად გამოსახული სკოლის სტრუქტურა

ვიზიტის შემდეგ , არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა დისციპლინური კომიტეტის შექმნის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;

ასევე, სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს შემნის დამდასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დოკუმენტებში ჩანს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების და პასუხისმგებლობის გადანაწილება. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი შინაგანაწესით. . სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. აღნიშნული დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმით,

თუმცა დანართების სახით ფინანსური და სასწავლო პროცესების მიმდინარეობის ანგარიში არ ახლავს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზეპირი ინტერვიუ
- შინაგანაწესი
- ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა თითოეული თანამშრომლისთვის, კანონმდებლობის შესაბამისად, აწარმოებს პირად საქმეებს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებული აქვს დირექტორს. დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. რეალურად დოკუმენტი არსებობს, მაგრამ მითითებული არ არის, როდის და ვის მიერ არის დამტკიცებული.

სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. სკოლის ყველა თანამშრომელი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას. შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო. ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის ზოგადი წესი.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

რჩევა: სკოლის დირექტორმა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სკოლა გამოკითხვით ადგენს პერსონალის საჭიროებებს და ცდილობს დაეხმაროს მათ პრობლემების დაძლევაში. სკოლა ეხმარება ახალ პერსონალს სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაციაში, საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სპეციალურ პირს, რომელიც უწევს დახმარებას, რათა მოახდინოს სკოლის საზოგადოებაში ჩართულობა და პირველადი სირთულეების დაძლევა. ასევე კათედრები ეხმარებიან და ხელს უწყობენ ახალბედა მასწავლებელს სწავლა- სწავლების პროცესში. სთავაზობენ საკუთარ გაკვეთილზე დასწრებას, უზიარებენ გამოცდილებას, ერთად გეგმავენ გაკვეთილებს, ესწრებიან გაკვეთილზე და აძლევენ უკუკავშირს, უზიარებენ რესურსებს და თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც აკვირდება მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, აძლევს მათ რჩევებსა თუ რეკომენდაციებს მუშაობის გასაუმჯობესებლად. საკვანძო საკითხის გადაწყვეტა სკოლაში ხდება ურთიერთთანამშრომლობით და გუნდური მუშაობით.

რჩევა: სკოლის დირექტორმა შეიმუშაოს საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალის მართვის პოლიტიკის პრევენციული და ინტერვენციული დოკუმენტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განხორციელებული პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. სკოლას ჰყავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №174/ნ საფუძველზე, კონკურსით შერჩეული ახალი მასწავლებლები. ვერ შეირჩა ექიმი, ჰყავთ ექთანი. შერჩევის პროცესი ნაწარმოებია კანონის შესაბამისად. შერჩეულია საჭიროებაზე მორგებული პიროვნებები შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ვაკანსიის გამოცხადება, კონკურსი და კადრის შერჩევა განხორციელებულია გამჭვირვალობის დაცვით, კანონის შესაბამისად. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. თანამშრომლებს წარმოდგენილი აქვთ „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ „ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ“ „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ“-შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სკოლის მიერ დადგენილ ნორმებს. თითოეული საგნის პედაგოგს აქვს შესაბამისი განათლება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. სკოლის მიერ გათვალისწინებულია ზოგადად საკვალიფიკაციო მოთხოვნები ყველა პოზიციაზე. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების საფუძველზე წინასწარ შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, რომლებიც წარდგენილია ვებ. გვერდზე-pedagogi.ge, ექიმის ვაკანსიის შემთხვევაში, სკოლამ ვერ შეარჩია კადრი კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტითა და ოჯახის ექიმის სერტიფიკატით. ამდენად, მხოლოდ ექთნით დაკმაყოფილდა. სკოლა აგრძელებს ექიმის მოიებას სკოლისათვის.

ვიზიტის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული დასაბუთება, რომლითაც დასტურდება, რომ დაასაქმა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ მიმდინარე პროცესები აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. პედაგოგიური საბჭოს და კათედრის თითოეული წევრი, თანამშრომლობის პრინციპის დაცვით, ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. თანამშრომლების შეფასების პროცესში აქტიურად არის ჩართული კოლექტიური ორგანო - ხარისხის ჯგუფი. სკოლაში ფართოდაა დანერგილი თანამშრომლობითი კულტურა და ურთიერთდასწრების პრაქტიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში მუშაობს 2 წამყვანი, 13 უფროსი, 5 უსტატუსო მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგი. წამყვანი მასწავლებლები მუდმივად თანამშრომლობენ უფროს მასწავლებლებთან და მაძიებელ მასწავლებელთან. მათთან ერთად ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რითაც ხელს უწყობენ კოლეგებს კარიერულ წინსვლაში. წარმატებული მასწავლებლების წახალისება ხდება მადლობის გამოცადებით, მცირეფასიანი საჩუქრით. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ახლომდებარე, მეზობელ სკოლებთან და მათთან პარტნიორულ ურთიერთობებს აყალიბებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები

მადლობის სიგელები

სკოლის შინაგანაწესი

უფროსი და წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულები

ექიმის შტატზე კონკურსის ჩატარების მასალები.

მასწავლებლის კონკურსის ჩატარების წესის ბრძანება, საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

2. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
3. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
5. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
6. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარების და პროფესიული მართვის ჯგუფი, რომელიც გაწერილი პერიოდულობით ესწრება საგაკვეთილო პროცესს და აფასებს მასწავლებელთა საქმიანობას, აძლევს ზეპირ უკუკავშირს, მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებათა დასადგენად ეწყობა ზეპირი გამოკითხვა, ავსებენ კითხვარს, ერთად მუშაობენ კათედრებიც, სკოლას აქვს კათედრის პორტფოლიოები. დანარჩენი პერსონალის განვითარების მიზნით, სკოლაში იმართება თათბირები, , ზეპირი გამოკითხვა საჭიროებების გამოვლენისა და განვითარების მიზნით. ხარისხის განვითარების მიზნით სკოლამ იზრუნა დირექტორის, საქმის მწარმოებლის, ბუღალტრის გადამზადებაზე. აღნიშნული საჭიროება დადგინდა ზეპირი გამოკითხვით.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, მაგრამ არ ჩანს , ვის მიერ არის დამტკიცებული, არა აქვს თარიღი და ნომერი.

რჩევა: სკოლამ პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის დოკუმენტზე მიუთითოს დოკუმენტის შექმნის თარიღი და ნომერი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები ავსებენ თვითშეფასების ფორმას, რომლის საფუძველზეც ადგენენ

განვითარების გეგმას. მასწავლებლები, გაწერილი გრაფიკის მიხედვით, ესწრებიან ერთმანეთს “კრიტიკული მეგობრის” სტატუსით. აფასებენ პროცესს ზეპირი და წერილობითი უკუკავშირის სახით, გეგმავენ პრევენციის გზებს, იხილავენ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ და აფასებენ შედეგებს და სახავენ სამომავლო გეგმებს. ამ მუშაობაში კათედრებს კარგად დაეხმარა ურთიერთთანამშრომლობითი კულტურა, რომელიც სკოლაში არის დამკვიდრებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი მესამე თაობის ესგ-ს დანერგვისა და საბაზისო განათლების საერთაშორისო პროექტებში. სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პედაგოგებს, თვალნათლივ ჩანს კათედრათა შორის თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება. სკოლა ხელს უწყობს არამართო მასწავლებელთა, არამედ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიულ ზრდას. ტრენინგი გაიარეს ბუღალტერმა, საქმეთა მმართველმა და დირექტორმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან თანამშრომელთა ინტეგრაციას, რაც დასტურდება სამასწავლებლოს შესაბამისი აღჭურვილობით (მაგიდა, სკამი, თარო, კარადა, კომპიუტერი), სკოლა ზრუნავს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციაზე სასკოლო გარემოში. ხორციელდება დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, სკოლა ყველანაირად ხელს უწყობს მათ ადაპტაციაში, გამოყოფს სპეციალურ პირს, რომელიც დაეხმარება ახალბედა თანამშრომელს მისთვის დავალებული საქმიანობის განხორციელებაში. მასწავლებლის შემთხვევაში ხდება კათედრებზე შეხვედრები, ერთად იგეგმება გაკვეთილები, ურთიერთდასწრება და აზრთა გაზიარება, რესურსების გაზიარება და დახმარება პირველადი სირთულეების დაძლევაში. სკოლა თანამშრომლებისათვის პერიოდულად აწყობს ექსკურსიებს, რაც კიდევ ერთი ნიშნულია ინტეგრაციისა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა ახალისებს პერსონალის განვითარებას და წარმატებებს. უცხადებს მათ მადლობას, ახალისებს მცირეფასიანი ჯილდოთი. აღნიშნული რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა ინიციატივებს პროფესიული განვითარებისთვის, კონფერენციებში მონაწილეობასა და პროექტებში ჩართვაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი,
- კათედრის სამოქმედო გეგმა,
- გაკვეთილზე დასწრების ოქმი
- ზეპირი ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არა აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დებულება. სკოლას განემარტა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი მონიტორინგზეა ორიენტირებული. იგი უნდა ითვალისწინებდეს ციკლურობას. ციკლურობა ეფუძნება დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას და ყველა რგოლის თავიდან გავლას გასაუმჯობესებელი საკითხების გათვალისწინებით. სკოლას აქვს რესურსი, თანმიმდევრულად განახორციელოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპი, რასაც რეალურად ახორციელებს კიდევ, თუმცა არა აქვს დოკუმენტურად გაწერილი. სასურველია, თანმიმდევრულად განახორციელოს დასახელებული საქმიანობა, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს გეგმაზომიერ საქმიანობას: „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“, ეს კი საბოლოოდ იწვევს ხარისხის განვითარებას.

სკოლას მიეცა რჩევა: შექმნას დოკუმენტი, რათა თანმიმდევრულად განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლურობა, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს გეგმაზომიერ საქმიანობას: „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“, რაც საბოლოოდ განაპირობებს ხარისხის განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებში. სკოლაში არ ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო; არ ჰყავს მანდატური, მაგრამ გასაუბრებით ირკვევა, რომ ჰყავს გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ამის დამადასტურებელი დოკუმენტი სერტიფიკატის სახით წარმოგვიდგინეს ადგილზე. სკოლას არ ჰყავს დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში არ ყოფილა დისციპლინური საქმისწარმოება.

რჩევა: სკოლამ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს უკვე გადამზადებული კადრი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად.

ვიზიტის შემდეგ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა დისციპლინური კომიტეტის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბრძანებით დამტკიცებული ჰტყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ სკოლა გასაჩივრების მექანიზმის დოკუმენტად იყენებს შინაგანაწესს. სკოლის შინაგანაწესის 22- ე მუხლში ვკითხულობთ, რომ სკოლაში შემოსული ნებისმიერი განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს, მიენიჭოს შესაბამისი ნომერი, განისაზღვროს ადრესატი და მასზე რეაგირება უნდა განხორცილდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. საჩივრის შემთხვევაში უნდა ჩაერთოს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც კოლეგიალური ორგანოა, რომელიც სკოლას ჯერ შექმნილი არა აქვს.

რჩევა: სკოლამ შექმნას გასაჩივრების მექანიზმის დოკუმენტი, დამტკიცებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

ვიზიტის შემდეგ: სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული დასაბუთება, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას ჰყავს

დისციპლინური კომიტეტი.

რჩევა: სკოლამ გააუქმოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომლითაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭოს მიერ უკვე დამტკიცებულ დისციპლინურ კომიტეტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია დასაქმებულების შრომის პირობების დაცვის წესები (მუხლი 9), დასაქმებულის დისკრიმინაციის შემზღუდავი მუხლები, თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები. თუმცა, სკოლის შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება (მუხლი 19, მუხლი 23). სკოლის

თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები.

ასევე, ისინი ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, გასაჩივრების დეტალურ პროცედურებს, სადაც ასახულია გასაჩივრების წესი და უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი, კომიტეტის წევრები არიან თითოეულ კლასში არჩეული წარმომადგენლები. სკოლა ზრუნავს მათ აქტიურად ჩართვაზე სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სასკოლო საზოგადოების უფლება მოვალეობები. რაც კიდევ უფრო დაზუსტებულ ია ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონირ წარმომადგენელს შორის. ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას მშობლებთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან არა აქვს გაფორმებული ხელშეკრულება

ვიზიტის შემდეგ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ზეპირი ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, მართვის პროცესებთან დაკავშირებით, მუდმივად აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას. ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირი ხორციელდება დამიგებელთა მეშვეობით და პირისპირ შეხვედრებით. ასევე აქტიურად იყენებენ სოციალური ქსელის ჩატს. სკოლა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით მშობელთა ინფორმირებისთვის ეპიზოდურად იყენებს ელექტრონული ჟურნალის შესაძლებლობებს. სკოლის I სართულზე არის საინფორმაციო დაფა, სადაც თავსდება ახალი ინფორმაცია, საჯაროდ გაზიარების მიზნით. სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს “თიმსის” პლატფორმასაც. გარდა ამისა, შინაგანაწესით გათვალისწინებულია მშობელთა ინფორმირება ყოველ პარასკევს, 13 საათიდან 16 საათამდე. რეგირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების კოლეგიური ორგანო-სამეურვეო საბჭო-3 მშობელი, 3 მასწავლებელი, 1 მოსწავლე-მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. რესურსცენტრის წარმომადგენელი-(სათათბირო ხმის უფლებით). საზოგადოების ინფორმირების მექანიზმი დამტკიცებულია ბრძანებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია:

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულში: სამეურვეო საბჭოში, პედაგოგიურ საბჭოში, შესაბამისი წესით ჩართულია სკოლის საზოგადოება. სამეურვეო საბჭოში - მოსწავლეთა და მშობლების წარმომადგენლები. აღნიშნული დასტურდება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- ზეპირი ინტერვიუ
- სკოლის სოციალური გვერდი
- შინაგანაწესი
- ფოტოები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. მას ამ მიზნით შექმნილი და დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების დაცვის წესი. თვალსაჩინოდ გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, სახანძრო ფარი, ცეხლმაქრები. შენობა სრულად აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. სკოლა ასევე აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, რომლითაც კონტროლდება როგორც გარე ასევე შიდა პერიმეტრი (სულ 18 კამერა;) აქედან, 13 სრულად აკონტროლებს გარე პერიმეტრს, ასევე, სკოლის შენობის ყველა შესასვლელს, შენობის პერიმეტრის დიდ მონაკვეთს. დაწესებულია მორიგეობა.
- სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ ჰყავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის „სკოლის დირექტორის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსაზღვრული პირის გადამზადების წესის დამტკიცების შესახებ N65/ნ ბრძანების შესაბამისად განსაზღვრული პირი.
- სკოლის შესასვლელში განთავსებულია რეგისტრაციის ჟურნალი, რომელიც დანომრილი და ბეჭედდასმულია. რეგისტრაციას აწარმოებს დარაჯი.
- სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის დაცვაზე.

დამრიგებლების მიერ სისტემატიურად ხდება სკოლაში არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და მიზეზის მშობლეთან დადგენა სატელეფონო ზარის საშუალებით.

სკოლის მიერ შემუშავებულია უსაფრთხოების დებულება. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაში ჩართულია სკოლის საზოგადოება. შემუშავებულია მორიგეობის განრიგი.

რიყეთის სკოლის შენობაზე სკოლას არა აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა.

სკოლა მუშაობს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის გეგმაზე. კერძოდ, იდენტიფიცირებულია ხარვეზები, ნაწილი ხარვეზებისა აღმოფხვრილია, პროცესი დასრულებული არ არის.

შენობას, რესურსცენტრის ინფორმაციით, სარეაბილიტაციოდ ამზადებენ 2025 წლისათვის.

ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ სკოლას არა აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დასკვნა. ჯერ არც საქმისწარმოება მიმდინარეობს ამ მიმართულებით.

შუასოფლის სკოლა დანგრეულია და ამდენად, ამ მიმართულებებით ჩვენ მიერ ვერ შეფასდა.

სკოლას, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შექმნილი არა აქვს მრჩეველთა საბჭო, არც დამტკიცებული უსაფრთხოების დებულება.

თვალსაჩინო ადგილზე აქვს გამოკრული ცხელი ხაზის ნომერი “112”.

სკოლას მიეცა რჩევა: ხელშეკრულება გააფორმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

ვიზიტის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვების ვადები და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმების პერიოდი რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამის ვადებში (26.11. 2026) უზრუნველყოს შენობის მდგრადობის და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება.

ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. აღნიშნული ხორციელდება ექთნის მიერ.

სკოლას არ ჰყავს ექიმი . სკოლამ გამოაცხადა ექიმის ვაკანსია კანონმდებლობის სრული დაცვით რამდენჯერმე და ვერ შეარჩია კვალიფიციური კადრი. დასაქმებული ჰყავთ ექთანი. თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი სერტიფიკატები და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სავალდებულო ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის, და ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ. სამედიცინო კაბინეტი ფუნქციონირებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/6/01-23/6 2022 წლის 21 მარტის შეაბამისად.

სკოლას აქვს პირველადი დახმარებათვის ყველა საჭირო ინვენტარი, მედიკამენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. საზოგადოებრივ წესრიგს იცავენ: მორიგე მასწავლებელი, დარაჯი, დამლაგებელი. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი თვალსაჩინოდ არის გამოკრული. საზოგადოებაში ქცევის წესები გამოკრულია დერეფანში, ყველა საკლასო ოთახში.

თვალსაჩინოდ არის გამოკრული ცხელი ხაზის ნომერი, პასუხისმგებელი პირისა და დირექციის წევრების ტელეფონის ნომრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას ცალკე დოკუმენტად გაწერილი არა აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოზე ზრუნავენ: სკოლის ექთანი, კლასების დამრიგებლები, პედაგოგები. სკოლაში არ ჰყავთ ფსიქოლოგი, მაგრამ სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ნაწილობრივ, ხორციელდება აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის კონტროლს.

სკოლას მიეცა რჩევა, ცალკე დოკუმენტად გაწეროს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი.

ცალკე გაწერილი დოკუმენტი დაეხმარება სკოლას გეგმაზომიერად ჩაატაროს საუბრები სასკოლო საზოგადოებასთან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს მნიშვნელობის შესახებ. პრობლემის შემთხვევაში, სწრაფად და მარტივად დასახოს პრევენციის გზები; აქტიურად ჩართოს ყველა რესურსი, როგორც სკოლაში მოქმედი, ისე-სკოლის გარეთ (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, გარედან მოწვეული კვალიფიციური პირი-მ/შ დისტანციურადაც).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა სასურველია მეტად უზრუნველყოფდეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის შენობაში მდებარე სველ წერტილებში არის წყალი, თხევადი საპონი, ხელსახოცი ქაღალდები. სკოლის შენობა არის სარემონტო. გადავსებულია ზედმეტი ნივთებით (ცარიელი ყუთები, ჩამოხეული პლაკატები). სკოლის ეზოში მდებარე საპირფარეშოებში არ არის წყალი, თხევადი საპონი, ხელსახოცი, არ არის დაცული ჰიგიენური ნორმები. ეზო საშუალო სიდიდისაა. ბალახი გათიბულია. სკოლის ჰიგიენას იცავს 3 დამლაგებელი, ექთანი. სკოლას ცალკე არა აქვს გამოყოფილი დამატებითი სათავსოები, სადაც მოათავსებენ შესაკეთებელ ინვენტარს. ინვენტარი გადანაწილებულია საკლასო ოთახებში. ვიზიტის შემდეგ დალაგდა სკოლის სივრცე, მოაწერიდა ქაღალდისა და წყლის პრობლემა **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი და უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, ამისთვის გამოყოფილი არის პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ მონაცემებში დაფარულია პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემებს შემუშავებული მექანიზმის მიხედვით. განსაზღვრულია დოკუმენტებზე წვდომის უფლების მქონე კონკრეტული პირი/ პირები “eflow” და “e-school” მონაცემთა ბაზებში. ასევე დაცულია ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირებული ჩანაწერები. მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს, საქმისმწარმოებელს. ვიდეო მონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე. ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

სკოლას მიეცა რჩევა, გააფორმოს ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლა უსაფრთხოების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას პერიოდულად ახდენს, მაგრამ მას არ აქვს სისტემური ხასიათი. ამ მიმართულებით იყენებს რესურსცენტრის რეკომენდაციებს. სკოლა იყენებს ანტივირუსულ პროგრამას ინფორმაციის დაცვის მიზნით; ასევე, ასევე, ბლოკავს არამიზნობრივ საიტებს, არ ინახავს მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის (მაგ.ბრძანებებს)ასლებს.

რჩევა: სკოლამ აწარმოოს ბრძანების წიგნი და უზრუნველყოს ბრძანებების მატერიალური სახით შენახვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8.ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ახდენს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას ზეპირსიტყვიერად.

ვიზიტის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება შექმნა.

ვიზიტის შემდეგ, არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა მრჩეველთა საბჭოს შექმნის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ დოკუმენტები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ზეპირი ინტერვიუ
- დარაჯის ხელშეკრულება
- საქმისწარმოების წესი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსებით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებით. საბუნებისმეტყველო საგნებისათვის გამოყოფილია ლაბორატორია. ლაბორატორიას არა აქვს სადემონსტრაციო მაგიდა, გამწოვი კარადა. რეაქტივები ვადაგასულია.

სკოლა წარმოდგენილია მისამართზე : ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი რიყეთი . რიყეთის საჯარო სკოლა არის სამსართულიანი და გათვლილია 150 მოსწავლეზე, საჯარო რეესტრის ამონაწერით ეზოს ფართი შეადგენს 4798 კვ.მ , რაც ვიზუალურად დასტურდება, შენობის ფართობი არის 506. კვ.მ. , დამოუკიდებელი სპორტული დარბაზი-243.36 კვ.მ. გარე სველი წერტილი 11.27 კვ. მ. სკოლას აქვს საკმარისი საკლასო და დამატებითი ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, ექიმის

კაბინეტი, დირექციის და ადმინისტრაციის კაბინეტები., ეზო. ყველა კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით.სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, რომელიც ღონისძიებების ჩატარების საშუალებას იძლევა. აღჭურვილია ინვენტარით, პროექტორით ეკრანით.

შუასოფლის დაწყებითი სკოლა, რომელიც რიყეთის საჯარო სკოლის ნაწილია, არის დაშლილი შესაბამისი უფლებით აღჭურვილი კომპანიის მიერ და იწყება ახალი დაწყებითი სკოლის მშენებლობა. დანგრეული სკოლა ჩვენ მიერ ვერ შეფასდა. შუასოფლის დაწყებით სკოლაში სწავლობს 1 მოსწავლე. მისთვის კერძოდ ნაქირავებ სივრცეში შექმნილია საკლასო ოთახი მერხითა და სკამით. ქირავნობის დოკუმენტები სკოლას ჩვენთვის არ წარმოუდგენია.

ვიზიტის შემდეგ, სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ მიმდინარეობს შუასოფლის დაწყებითი სკოლის სამშენებლო სამუშაოები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაიცვას ახალსოფლის სკოლის მშენებლობის ვადები (11.2026).

ინდიკატორი ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული

2. სკოლაში მიმდინარეობს კდია სპორტული მოედნის კეთილმოწყობა. ააქვს სპორტული დარბაზიც. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას აქვს მულაჟები. რეაქტივები ვადაგასულია. ასევე, ლაბორატორიაში არ არის სადემონსტრაციო მაგიდა, გამწოვი კარადა, წყალი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში დგას ძველი კომპიუტერები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნებს, თუმცა სკოლას აქვს 21 ცალი პორტაბელური კომპიუტერი და შესაძლებელია მათი გამოყენება კომპიუტერულ ლაბორატორიაში, მით უფრო, რომ კლასები მრავალრიცხოვანი არ არის (საშუალოდ 3-4 მოსწავლე კლასში).

რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა პორტაბელური კომპიუტერებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკა განთავსებულია მისთვის სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. არის წიგნადი ფონდი, თუმცა, არ არის შესაბამისად დანომრილი და ბეჭედდასმული. რესურსების კატალოგი სრულად არ არის ნაწარმოები. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია

სკოლის საზოგადოებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკარი პერიოდულად თანამშრომლობს სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან.

რჩევა: ბიბლიოთეკას მეტი დატვირთვა მიეცეს, როგორც სოციო- კულტურულ სივრცეს.

- ბიბლიოთეკარი უფრო აქტიურად ჩაერთოს საკლასო და სასკოლო პროექტებში.
- სკოლამ იზრუნოს წიგნადი ფონდის სრულად აღრიცხვაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა ადაპტირებული არ არის, არ აქვს პანდუსი, რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. არც ჰყავს სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეები. შენობაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. ინკლუზიური განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესია, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროება. შესაბამისობის გეგმაში კონკრეტული ვადები არის გაწერილი, როდის მოახერხებს სკოლა აღნიშნულის გამოსწორებას.

რაც შეეხება შუასოფლის სკოლას,

ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი: შუასოფლის სკოლა დანგრეული დაგვხვდა , ამდენად, ჩვენ მიერ აღნიშნული სკოლა ვერ შეფასდა.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს რიყეთის სკოლის პანდუსის მოწყობა.

ვიზიტის შემდეგ , სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა შუასოფლის სკოლის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დოკუმენტაცია. დასრულების ვადად განსაზღვრულია 11.2026წ.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შუასოფლის სკოლის მშენებლობის ვადების დაცვა.

ინდიკატორი ნატილობრივ არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლას აქვს სასწავლო პროცესისთვის დანიშნული საჭირო სივრცეები : ეზო, ნათელი საკლასო ოთახები, ფართო დერეფნები, სივრცე კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის, საექტო დარბაზი.

სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი. ეს ყველაფერი ქმნის მოსწავლის მხარდაჭერის პირობას და ხელს უწყობს ფიზიკურ სიჯანსაღეს, თანამშრომლობითი და გუნდური უნარების განვითარებას. სკოლა ხშირად ატარებს კურიკულუმის მიღმა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის აქტივობებს. მოსწავლეებს აქვთ სივრცეები თანამშრომლობისა და საკუთარი იდეების რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკის დებულება
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- ფოტომასალა
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; აზომვითი ნახაზი სკოლის სოციალური გვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას. სკოლას მიღებული აქვს 3 პროექტორი 3 პრინტერი და ლეპტოპები. სკოლაში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია სკოლის დაფარვა ინტერნეტით. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლისთვის. ტექნოლოგიებს იყენებენ საგაკვეთილო პროცესსა და არაფორმალურ მუშაობაში (პროექტების მოსამზადებლად, პრეზენტაციისათვის და სხვა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიების სასწავლო და სამუშაო პროცესებში გამოყენების არეალის გაზრდას. სკოლას ჰყავს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომელიც ეხმარება /ფასილიტაციას უწევს მოსწავლეებს და მასწავლებლებს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებაში. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი, რათა, კომპიუტერული ტექნიკა ეფექტიანად იქნას გამოყენებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების გეგმა-გრაფიკი;
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების, კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავრობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს, მათ შორის: სკოლის მართვაში გამოიყენება eflow, eschool, rs.ge და ელექტრონულ ფოსტას, Facebook; -საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას,

გაცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს პროფილი მართვის ელექტრონულ სისტემაში, შეტანილი აქვს მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლის მონაცემები და სკოლასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ადგილზე სისტემის ვიზუალურად დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ყველა ანგარიშს და ინფორმაციას დროულად აწვდიან რესურსცენტრს, დროულად აწვდიან ფინანსურ ანგარიშებს. სკოლას გამოქვეყნებული აქვს ანგარიში მაცნეს გვერდზე საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, დროულად ბარდება დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი-
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
1. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას ნაწარმოები არა აქვს ვებგვერდი. სკოლას აქვს შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებული ვებ გვერდის წარმოება.

სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), სადაც ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, სიახლეებზე. სკოლა მათთვის საჭირო ინფორმაციას აწვდის მშობლებს ტელეფონის საშუალებით. ასევე, ყველა ძირითადი ინფორმაცია თვალსაჩინოაა გამოკრული დერეფნებში. სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალსაც.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში უზრუნველყოს ვებ გვერდის წარმოება.

ვიზიტის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, სადაც ჩანს, რომ შექმნა ვებ გვერდი, რომელზეც მიმდინარეობს შესაბამისი ინფორმაციის განთავსება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რათა სკოლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყოს სანდო და უტყუარი. სკოლას ამ მიზნით გამოყოფილი ჰყავს სპეციალური პირი, საქმის მწარმოებელი, რომელსაც ევალება სოციალურ გვერდზე ინფორმაციის განთავსება. სკოლის სოციალური გვერდი ქმნის ზოგად შთაბეჭდილებას მიმდინარე პროცესების შესახებ.

სკოლას არა აქვს ნაწარმოები ვებ გვერდი, თუმცა სკოლას აქვს შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებული ვებ გვერდის წარმოება.

ვიზიტის შემდეგ, სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოგვიდგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია ვებ გვერდის წარმოება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს ვებ გვერდის წარმოება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. სკოლა იყენებს კონფიდენციალური გამოკითხვის მექანიზმს კითხვარების საშუალებით. საჭირო ინფორმაციას ღებულობს სხვა არხებითაც: სოციალური ჩატი, მშობელთა კრება, მნიშვნელოვანი წინადადებები განიხილება პედსაბჭოზე. კათედრებზე აკეთებენ ანალიზს და ითვალისწინებენ მუშაობის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ვიზიტის დროს წარმოჩინდა, რომ სკოლას არა აქვს ნაწარმოები ვებ გვერდი, თუმცა სკოლას აქვს შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებული ვებ გვერდის წარმოება.

ვიზიტის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია (ბმული), რომლითაც დასტურდება რომ დაიწყო ვებ გვერდის წარმოება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლას არა აქვს ვებ-გვერდი ნაწარმოები, სადაც განთავსებულიუნდა იყოს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ინფორმაციის განახლება ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა, სკოლას აქვს შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებული ვებ გვერდის წარმოება.

ვიზიტის შემდეგ, სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასა და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოგვიდგინა დოკუმენტაცია (ბმული), რომლითაც დასტურდება, რომ დაიწყო ვებ გვერდის წარმოება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფეისბუკ გვერდი
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
 - შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☐ შეესაბამება
 - ☒ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელება. დაგეგმვის პროცესში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ნაწილობრივ ყველას ინტერესების შეძლებისდაგვარად გათვალისწინებას. სკოლის სწორად და გამართულად მუშაობისთვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა. მისი მომზადებისას თავიდანვე განისაზღვრება: 1. სავარაუდო შემოსავლები; 2. მომდევნო წლის პრიორიტეტები; 3. სავარაუდო ხარჯები; 4. საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. სკოლას არა აქვს დიდი ფინანსური შემოსავალი. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტში ჩაშლილია წლიური აუცილებელი ხარჯები. დაგეგმვა არის რეალისტური. მის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, ქმნის ყოველწლიურ ბიუჯეტს, აკეთებს ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს. ავსებს ბალანსის ფორმებს და წარუდგენს მაკონტროლებელ ორგანოს, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშებს. შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების წესი. სკოლა ყოველი წლის ნოემბრის თვეში შეიმუშავებს შესყიდვების წლიურ გეგმას და როგორც გეგმას, ასევე შესრულების ანგარიშს ტვირთავს ePLANის გვერდზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ფინანსური ანგარიში
- 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.
- 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი.
- 2024 წლის კორექტირებული ბიუჯეტი
- 2023 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი.
- ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით. შინაგანაწესიდან გამომდინარე, კლასებში შემუშავებულია ქცევის წესები. როგორც შინაგანაწესი, ისე ქცევის წესები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დასტურდება პედაგოგიური გუნდის გამოკითხვით, თვალსაჩინო მასალით. სკოლას გაწერილი აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლეთა ქცევის წესების, გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაციის გაცნობა დასტურდება საკლასო და მშობელთა კრებების ოქმებით. სკოლის დერეფანში, თვალსაჩინო ადგილზე, გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები, შინაგანაწესი.

რჩევა: სკოლამ ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს მშობლებთან ურთიერთობის რეგულირების დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში შედგენილია სადამრიგებლო პროგრამები. სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობს შინაგანაწესს. კლასში მოსწავლეები და დამრიგებელი ერთად ადგენენ ქცევის წესებს, წესები და შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, როგორც დერეფანში, ისე საკლასო ოთახებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას მოსწავლესთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული არა აქვს ხელშეკრულება. იგი უნდა შეიცავდეს თარიღს, მონაცემებს, ვის შორის დგება ხელშეკრულება, რა უფლებები და პასუხისმგებლობა აკისრია მხარეებს. მასში ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი. დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. /ხარვეზი/

ვიზიტის შემდეგ სკოლამ არგუმენტირებული მტკიცებულების სახით წარმოგვიდგინა შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ ამჟამად სკოლას აქვს მშობელთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების ფორმა და მშობლებთან უკვე გაფორმებული ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ
- ვიზუალური დათვალიერება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შექმნილი აქვს ერთიანი დოკუმენტი, რომითაც განსაზღვრული აქვს კანონმდებლობით დადგენილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი. იგი ხელმძღვანელობს “ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით” და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04“ნ”(11/012017). სკოლა აკონტროლებს მოსწავლეთა გაცდენებს. 10/20/45 დღის გაცდენის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი მოიკვლევს მიზეზს და აღნიშნულის შესახებ წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. სკოლის დირექტორი, დამრიგებლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კანონის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს, რაც დასტურდება წარმოდგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით; “ემისის” ბაზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მეორე უცხოენას, რომელიც დასტურდება კრების ოქმით. სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი. კლუბებს აქვს პროგრამები, შესაბამისი დებულება, რომელიც ზიარდება სკოლის სოციალურ გვერდზე, ასევე კლასების ზეპირი ინფორმირების გზით. სკოლა აპირებს მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი კლუბები ინტერესებიდან გამომდინარე.

სკოლა ახორციელებს ტრანსპორტით მომსახურების პროგრამას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია კანონის დაცვით არის გავრცელებული სკოლის პერსონალის მიერ, როგორც სკოლის სივრცეში, ისე სოციალურ გვერდზე. ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე. სკოლა ათავსებს საჯარო ინფორმაციას ვებ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების, ამორიცხვის შესახებ;

• სკოლის შინაგანაწესი;

• სასკოლო კლუბის დებულება;

ტრანსპორტით მომსახურების ამსახველი გრაფიკი

• მშობელთა კრების ოქმი უცხო ენის არჩევის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, შემუშავებული დოკუმენტი დანერგილია სასკოლო ცხოვრებაში, კერძოდ, სკოლა კავშირს ამყარებს წინასწარ პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან იწვევს სკოლაში, აცნობს გარემოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

